სააპელაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შეკვრის ადგილი

აპელანტი: *შენიშვნა-1*

საქართველოს მთავრობა *სახელი, გვარი (სახელწოდება)*	*პირადი (საიდენ.) ნომერი*	თბილისი, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა #7. *ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)* *შენიშვნა-2*
U *ალტერნატიული მისამართი* *შენიშვნა-3*		U *სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი*

U *სახლის ტელ.*	U *სამსახურის ტელ.*	U *მობილური*	U *ფაქსი*	X *ელექტრონული ფოსტა*

აპელანტის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სოფიო სიჭინავა *სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი*	*პირადი ნომერი*	თბილისი, ინგოროყვას #7 *ძირითადი მისამართი*
ალტერნატიული მისამართი		საქართველოს მთავრობის კანცელარია. თბილისი, ინგოროყვას #7 *სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი*

სახლის ტელ.	*სამსახურის ტელ.*	591012006 *მობილური*	*ფაქსი*	ssichinava@geo.gov.ge *ელექტრონული ფოსტა*

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" 2. დავით სახვაძე *სახელი, გვარი (სახელწოდება)*	ს/კ 204952676 პ/ნ 60001004285 *პირადი (საიდენ.) ნომერი*	1. თბილისის 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა #13. 2. თბილისი, საიათნოვას ქ. #1 *ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)* *შენიშვნა-6*
U *ალტერნატიული მისამართი*		U *სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი*

U *სახლის ტელ.*	1. 2292733 *სამსახურის ტელ.*	2. 593 319062 *მობილური*	U *ფაქსი*	1. greenalt@greenalt.org 2.david.sakhvadze@yahoo.com *ელექტრონული ფოსტა*

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

U *სახელი, გვარი*	*სახლის ტელ.*	*მობილური*	*ელექტრონული ფოსტა*

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

Ú სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

Ú

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

Ú

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

Ú

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა *შენიშვნა-10*

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება:	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
განმხილველი მოსამართლე:	ინგა კვაჭანტირაძე
საქმის ნომერი:	3/3877-13
მიღების თარიღი:	13 ივნისი, 2014 წელი.

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად ☐

ნაწილობრივ ☒

რომელ ნაწილში?

გადაწვეტილებას ვასაჩივრებთ სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილში.

შენიშვნა-12

სააპელაციო მოთხოვნა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე #3/3877-13 და არ დაკმაყოფილდება ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" და დავით სახვაძის ის სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება გასაჩივრებული გადაწვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებს.

შენიშვნა-13

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ არასწორედ მიიჩნია მოსარჩელე მხარეები დაინტერესებულ პირებად.

ძტკიცებულება:

იხ. სააპელაციო საჩივრის გრაფა "გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები".

2. ფაქტობრივი უსწორობა

ᲣᲠ

ძტკიცებულება:

ᲣᲠ

ᲣᲠ

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 შენიშვნა-17 შენიშვნა-18

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

ᲣᲠ

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

ᲣᲠ

ძტკიცებულება:

ᲣᲠ

ᲣᲠ

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიულია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☒ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სასამართლოს მიერ დასახელებული სამართლებრივი აქტები და მათ შესაფასებლად გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები ერთმანეთთან სრულ შეუსაბამობაშია. უფრო კონკრეტული დასაბუთება მოცემულია შემდეგ გრაფაში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება #3/3877-13 საქმეზე კანონსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე, არასწორად განმარტა კანონი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები მდგომარეობს შემდეგში:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ამავე კოდექსის 182–ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, ხსენებული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

ამდენად, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლება აქვს იმ პირს, რომლის სუბიექტური უფლებაც დაირღვა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო იმისათვის, რომ განისაზღვროს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი,

ანუ დაინტერესებული მხარე, აუცილებელია, რომ გასაჩივრებული აქტი გავლენას ახდენდეს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე და ზიანს აყენებდეს უშუალოდ მას. ამასთან, კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენება გულისხმობს იმას, რომ იგი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ადმინისტრაციული საჩივრის ავტორისათვის, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებებიდან, ასევე უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი ნორმებიდან, ანუ სახეზე უნდა იყოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული მხარის უფლებისათვის ან ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი.

საგულისხმოა, რომ ამჟამად მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს, თუმცა, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე თავად „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილია, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება, რაც არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმდაგვარად, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი სამინისტროს მიერ ხსენებულ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.4 პუნქტის მე-4 აბზაცში სასამართლო ახდენს სამართლებრივ ურთიერთობებში დაინტერესებული პირის (მხარის) ცნების შეფასებას და ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის ციტირების შემდეგ აცხადებს, რომ .... "ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მორალურ და თეორიულ ინტერესს. საგულისხმოა, რომ პირის უფლება ან ინტერესი კანონიერი უნდა იყოს ანუ კანონით უნდა იქნეს დაცული. სიტყვა კანონი გულისხმობს როგორც კანონს, ისე კანონქვემდებარე აქტს. ამასთან, სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე. გამონაკლისი ამ წესიდან დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებული საჩივრის (სარჩელის) მატერიალური დასაშვებობის საკითხი". მოგეხსენებათ, სასამართლო არ წარმოადგენს სამართალშემოქმედ ორგანოს, მისი ფუნქცია გახლავთ სამართალშეფარდება და ამ მიზნით იმ კანონების ფარგლებში ურთიერთობების მოქცევა და მოწესრიგება, რომლებიც დაწერილი სახით არსებობს. ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი ადგენს დაინტერესებული მხარის ლეგალურ დეფინიციას, რომელიც მისი განმარტებისგან განსხვავებული რეგულაციის დადგენის შესაძლებლობას სხვა კანონებს არ უტოვებს. მიუხედავად ამისა, გაურკვეველია რაზე დაყრდნობით, სასამართლო აცხადებს, რომ ამ წესისგან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებული საჩივრები (სარჩელები). აღნიშნულით, სასამართლო თვადვე ადასტურებს რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს.

შემდეგ აბზაცში სასამართლო კონსტიტუციის 34-ე და "კულტურული მემკვირეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლებს განიხილავს, რომლებიც კულტურის განვითარებას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებას ეხებიან, ხოლო შემდეგ აბზაცში კი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განმარტებაზეა საუბარი, ე.წ "ორჰუსის" 1998 წლის კონვენციის მოშველიებით. სასამართლო საბოლოოდ ასკვნის, რომ საქართველოს მთავრობის მიერ განხილული საჩივრები ეხებიან გარემოსდაცვით საკითხებს, რომლის მიმართაც დაინტერესებულ პირად მოაზრებულ უნდა იქნეს დაინტერესებული

საზოგადოება, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას.... მთლიანობაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი ცნებისგან გამონაკლისს ადგენს ე. წ. "ორჰუსის" კონვენცია, რაც, როგორც კონვენციის ასევე კოდექსის ნორმის არასწორ განმარტებად უნდა იქნეს მიჩნეული. კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახად "ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მეოთხე მუხლის მიხედვით არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის პირობები." აღნიშნული ცხადყოფს, რომ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე მხარეებს პრობლემა არ შექმნიათ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების პროცესში, შესაბამისად, დავის საგანი აღნიშნულს არ ეხება. ე. წ. "ორჰუსის" კონვენციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დასაბუთება წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ეყრდნობა კანონს, რომელიც მას არ უნდა გამოეყენებინა. რაც შეეხება სამართლებრივი უსწორობების დასაწყისში აღნიშნულ, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, კერძოდ, შემთხვევას, როდესაც სასამართლო არასწორედ განმარტავს კანონს, მოცემულ საქმეში წარმოადგენს ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის განმარტება, რომელსაც გამონაკლისს უწესებს სასამართლო, მაშინ, როდესაც აღნიშნული გამონაკლისის დაწესების შესაძლებლობას, თავად ნორმა არ იძლევა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად და შესაბამისად, ფაქტობრივადაც უსწოროა და სააპელაციო პალატის მიერ უნდა დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
Შ		
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
Შ		
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
Შ		

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

Ш

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

Ш

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

Ш

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

Ш

არგუმენტაცია:

Ш

2. მოთხოვნა

Ш

არგუმენტაცია:

Ш

Ш

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

ᲓᲘᲐᲮ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

ᲐᲠᲐ ☒

საჩივრის ფასი *ფურცელი-28*	—	არაქონებრივი დავა ლარი
სახელმწიფო ბაჟი *ფურცელი-29*	—	0 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☒ არა ☐

რომელი ნორმა?	"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "უ" ქვეპუნქტი.
მტკიცებულება:	"საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი.

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

ფურცელი-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:
არა ☒ რადგან

ფურცელი-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთი

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

ა სხდომაში

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 *შენიშვნა-37*

დანართი 1. "საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სოფიო სიჭინავასათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 მარტის #509 განკარგულება.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 1

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია: ☐	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული: ☐ *ბუნ(ბ)ების ჩამონათვალი*	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი სოფიო სიჭინავა	01 აგვისტო, 2014 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

ფურცელი-38

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№509 2014 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სოფიო სიჭინავასათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე-98-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს სოფიო სიჭინავას მიეცეს უფლება: წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის ინტერესები საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით; მიანდოს წარმომადგენლობა საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებს და გასცეს მათზე მინდობილობები; ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს).

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის შალვა თადუმაძისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №1917 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

№1

12